



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, დონე 6, 240 კრედიტი
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, დონე 7, 120 კრედიტი

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 03-04 სექტემბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

შინაარსი

<u>I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ</u>	4
<u>II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა</u>	Error! Bookmark not defined.
<u>III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან</u>	Error! Bookmark not defined.
<u>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</u>	16
<u>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</u>	31
<u>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</u>	41
<u>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</u>	46
<u>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u>	66

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:	ბუსმაჩიუ ევგენია, მოლდოვის განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო, მოლდოვის რესპუბლიკა
წევრები:	ხოსიტაშვილი გიგა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფა, საქართველო
წევრები:	ზაქარაძე ეკატერინა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დარგის ექსპერტი, საქართველო
წევრები:	ბერიშვილი თამარ (LL.M), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრები:	თვაური გიგა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სტუდენტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა	საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ¹	საჯარო მმართველობის ბაკალავრი	საჯარო მმართველობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის უფლების მითითება ²	NA	NA
სწავლების ენა	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 12/12/ 2019, N240	აკრედიტებული 30/08/2017, N60

¹ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

² (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ³**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაცია განხორციელდა კლასტერში დაჯგუფებულ ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- პროგრამა 1. საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი, 240 ECTS;
- პროგრამა 2. საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა, 120 ECTS;

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეფასებულ პროგრამებს აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებს 12/12/2019 წლიდან, ხოლო ხელახალი აკრედიტაციის რეჟიმში 30/08/2017 წლიდან. სამაგისტრო პროგრამებს აკრედიტაცია 2017 წელს, 7 წლის ვადით მიენიჭა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობის ბაკალავრი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობის მაგისტრი

პროგრამები ახლდება და იცვლება გარე რეგულაციების მიხედვით, მათ შორის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.

კრედიტების მოცულობა და განაწილება:

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS-ს, საშუალოდ წელიწადში 60 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტს. 1 კრედიტი - 25 საათი, რომელიც მოიცავს როგორც სალექციო ასევე არასალექციო მუშაობას. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი, ანუ 4 წელი. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, თუმცა არაუმეტეს 75 კრედიტი.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია, ხოლო მისი ხანგრძლივობა 2 წელია (4 სემესტრი). ორივე პროგრამა ხორციელდება გორში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებში; პროგრამებს ახორციელებს სოციალურ მეცნიერებათა, ზიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ინფორმაცია მიაწოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა; დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელი იყო OneDrive-ის ბმულის მეშვეობით და ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდიდან. დოკუმენტების პაკეტი მოიცავდა თვითშეფასების ანგარიშს (SER) და შესაბამის დამხმარე დოკუმენტაციას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო გეგმებს, კურსის სილაბუსს, ინფორმაციას მასწავლებლებისა და არასასწავლო პერსონალის შესახებ, ინფორმაციას სწავლების მეთოდოლოგიებზე, სწავლის შედეგებზე, შეფასების პროცესების

³ პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მეთოდოლოგიაზე, სტანდარტებსა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. დოკუმენტი წარმოდგენილი იყო ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 3-4 სექტემბერს განახორციელა; ვიზიტი შედგა ექსპერტთა მიერ წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრებები ჩაატარა სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საჯარო მმართველობის პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში დაწესებულებამ მიაწოდა.

პირველ დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა დღის წესრიგის შესაბამისად გამოკითხა ყველა დაინტერესებული მხარე და მოაწყო ტური უნივერსიტეტის შენობებში, რათა შეეფასებინა სასწავლო პროცესისთვის ხელმისაწვდომი რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა, კომპიუტერული ტესტირების ოთახი, ლაბორატორიები, სტუდენტური სივრცეები.

ვიზიტის მეორე დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარი მიგნებები და დასკვნები გააცნო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლებს.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ვიზიტის დროს იყო პროფესიონალური ატმოსფერო, კარგად ორგანიზებული კომუნიკაცია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, განყოფილებას და სამსახურს შორის შეინიშნებოდა თანამშრომლობა. გამოვლინდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის პროფესიონალიზმის მაღალი დონე, ასევე კარგი თანამშრომლობა რეგიონულ და ადგილობრივ საჯარო ხელისუფლებასთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1. საჯარო მმართველობა, საბაკალავრო პროგრამა, დონე 6, 240 ECTS

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, დონე 7, 120 ECTS

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

კლასტერის რეკომენდაციები

1.5

რეკომენდებულია, რომ გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, განახლდეს ლიტერატურა და რამდენიმე კურსი გახდეს სავალდებულო.

4.1

რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის დარგთან რელევანტური დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რეკომენდებულია, გააუმჯობესოთ იმ პერსონალის შემადგენლობა, რომელიც ახორციელებს სასწავლო კურსებს და საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ კომპონენტებს. აღინიშნა, რომ მსგავსი რეკომენდაციები წარსულშიც იყო გაცემული. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა 2015 წლიდან არსებობს, საკმარისი დრო იყო შესაბამისი აკადემიური პერსონალის დასაკომპლექტებლად.

პროგრამა 1

1.5

- რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი გაძლიერდეს
- რეკომენდებულია, ლიტერატურის განახლება
- რეკომენდებულია კურსი „ევროპული მმართველობის სისტემები“ გახდეს სავალდებულო

4.1

- რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის დარგთან რელევანტური დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასწავლო კურსებში ჩართული პერსონალის შემადგენლობის გაუმჯობესება.
- რეკომენდებულია, წახალისოთ პერსონალის მონაწილეობა საჯარო მმართველობის კონფერენციებში.
- რეკომენდებულია, შექმნათ სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ფონდი პერსონალის და/ან სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდასაჭერად.

4.5

- რეკომენდებულია, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ბიუჯეტის გაზრდა: დამატებითი თანხების გამოყოფა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევის მხარდასაჭერად.

პროგრამა 2

1.1

რეკომენდებულია, რომ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სამაგისტრო პროგრამის მიზნებში

1.5

- რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი გაძლიერდეს
- რეკომენდებულია, ლიტერატურის განახლება
- რეკომენდებულია, კურსი „საჯარო სამსახურის მართვის სისტემა“ გახდეს სავალდებულო

4.1

- რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის დარგთან რელევანტური დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასწავლო კურსებში ჩართული პერსონალის შემადგენლობის გაუმჯობესება.

4.3

რეკომენდებულია, სოციალური გარანტიების გაძლიერება: უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. ეს ხელს შეუწყობს პერსონალის კეთილდღეობის, სამუშაო კმაყოფილების და სტაბილურობის უზრუნველყოფას. აუცილებელია რეგულარული კომუნიკაცია პერსონალთან მათი საჭიროებების გასაგებად და მათი უკუკავშირის ჩართვა სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

რჩევები:

კლასტერის რჩევები

4.1

- სასურველია, უნივერსიტეტის დონეზე ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გაძლიერება ან დამატება.

- სასურველია, პერსონალის კვლევისა და განვითარების ბიუჯეტის გაზრდა რათა მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.
- სასურველია, ჩამოაყალიბოთ საჯარო მმართველობის კვლევითი ცენტრი აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასამდიერებლად. ეს ცენტრი ჩაატარებდა კვლევებს, მოაწყოდა კონფერენციებს და გამოაქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს საჯარო მმართველობის სფეროში. პერსონალის წახალისება, რომ გამოიწერონ შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალები, ასევე გაამდიერებს მათ აღქმას და ხელს შეუწყობს მუდმივ პროფესიულ ზრდას.
- სასურველია, გააფართოვოთ აკადემიური პოზიციის რეკლამირება უნივერსიტეტის ვებგვერდისა და ფეისბუქის გვერდის მიღმა, რათა გამოიყენოთ დამატებითი პლატფორმები (მაგ. Jobs.ge) უფრო ფართო აუდიტორიაზე გასასვლელად.

4.3

- სასურველია პერსონალის სოციალური გარანტიების გაძლიერება: უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. ამ გარანტიების გაძლიერება გადამწყვეტია პერსონალის კეთილდღეობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის.
- სასურველია რეგულარული და ღია კომუნიკაცია პერსონალთან მათი საჭიროებების გასაგებად და მათი უკუკავშირის ჩართვა სოციალური გარანტიების პოლიტიკის შემუშავებაში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. სასურველია, კომპიუტერული პროგრამების რესურსების გაფართოება: სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს კომპიუტერული პროგრამების რესურსები, რათა შეიტანოს დამატებითი ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება სტუდენტებს დასჭირდეთ კვლევითი საქმიანობისთვის. ეს დაეხმარება სტუდენტებს, ჰქონდეთ წვდომა საჭირო რესურსებზე, მაღალი ხარისხის კვლევის ჩასატარებლად.
- სასურველია, გააძლიეროთ უკუკავშირის ინტეგრაცია: გააძლიერეთ გამოკითხვებისა და სტუდენტთა შეფასების სასწავლო პრაქტიკაში ინტეგრირების პროცედურები. ეს უზრუნველყოფს უკუკავშირის ეფექტურად გამოყენებას სასწავლო პროცესის და სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად.

4.4

სასურველია, საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების გაუმჯობესება: არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის ამაღლება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.

პროგრამა 1

2.2

სასურველია, სტუდენტების პრაქტიკული უნარების ამაღლების მიზნით, გაიზარდოს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ საგნებში პრაქტიკული გაკვეთილებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.

3.1

- სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს საგანმანათლებლო პროცესში უცხო ენის დონის ამაღლებას. ბაკალავრიატის სტუდენტებს უჭირთ ინგლისური ენის გაგება და საუბარი.
- სასურველია, სტუდენტური კარიერის ცენტრმა გააძლიეროს სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი.
- სასურველია, უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც მოწინავე თანამდებობებზე მუშაობენ, შეხვდნენ სტუდენტებს და ესაუბრონ წარმატების მიღწევისკენ განვლილ გზაზე. სასურველია, ეს აქტივობა წელიწადში ერთხელ მაინც განხორციელდეს.
- დამსაქმებლებმა, სტუდენტებთან შეხვედრისას გაამჟღავნეს, თუ რა უნარები უნდა განივითარონ, რათა შეძლონ მათთან დასაქმება; ეს ინფორმაცია გაეგზავნათ საუნივერსიტეტო პირად ელექტრონულ ფოსტაზე.
- სასურველია თანამედროვე სტუდენტური სივრცე, სადაც სტუდენტები (ყველა კურსისა და ფაკულტეტის) შესვენების დროს შეხვდებიან ერთმანეთს, თავისუფალ დროს ისაუბრობენ (ჩაი, ყავა, წყალი). აღნიშნული ადგილი სტუდენტებს შორის მეტ დაახლოებას უზრუნველყოფს და უნივერსიტეტი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება სტუდენტებისთვის.

4.1

- სასურველია, დაამატოთ/გააძლიეროთ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის დონეზე
- სასურველია, წახალისოთ პერსონალის მონაწილეობა საჯარო მმართველობის კონფერენციებში. სასურველია, პერსონალის წახალისება საჯარო მმართველობის კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მისი მდგრადობისთვის და პერსონალის სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიზნით; სასურველია შეიქმნას სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ფონდი, რომელიც იქნება სათათბირო ორგანო და განიხილავს პერსონალის ან/და სტუდენტების მიერ წარდგენილ პროექტებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მათ დაფინანსებაზე;
- სასურველია უნივერსიტეტის ბიუჯეტში პერსონალის კვლევისა და განვითარების ხარჯების გაზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე.
- სასურველია, მოწვეული პერსონალის ტრენინგი აკადემიური გარემოს გაცნობისა და მასთან შეგუების, პროგრამის მიზნებისა და ამოცანების გააზრებისა და გაზიარებისთვის;
- სასურველია, შექმნათ სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ფონდი პერსონალის და/ან სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდასაჭერად. სასურველია, პერსონალს შორის აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, უნივერსიტეტმა განიხილოს უშუალოდ საჯარო მმართველობის

კვლევითი ცენტრის შექმნა. ეს კვლევითი ცენტრი იმუშავებს როგორც საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის ჩატარების, კონფერენციების ორგანიზებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ჰაბი. ასეთი ცენტრის შექმნით, უნივერსიტეტს შეუძლია უზრუნველყოს პლატფორმა პერსონალისთვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ საჯარო მმართველობის ცოდნის შექმნაში და ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებითა და შეხედულებებით. გარდა ამისა, პერსონალის წახალისება, რომ წაიკითხონ და გამოიწერონ შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალები კიდევ უფრო გააძლიერებს მათ აღქმას დარგის უახლესი მოვლენების შესახებ და ხელს შეუწყობს მუდმივ სწავლასა და პროფესიულ ზრდას.

4.3

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის გაძლიერება: ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის გათვალისწინებით, რეკომენდებულია საერთაშორისო აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან, როგორც სასწავლო პერსონალისთვის, ასევე მაგისტრანტებისთვის. ეს მოიცავს მეტი რესურსების და შესაძლებლობების უზრუნველყოფას საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის. სასურველია, საჯარო მმართველობის კვლევითი ცენტრის შექმნა: აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს უშუალოდ საჯარო ადმინისტრირების კვლევითი ცენტრის შექმნა. ეს კვლევითი ცენტრი იმუშავებს როგორც საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის ჩატარების, კონფერენციების ორგანიზებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ჰაბი და ამგვარად ხელს შეუწყობს პერსონალისა და სტუდენტების თანამედროვე კვლევებში ჩართულობას. ეს ყველაფერი ორიენტირებული იქნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
- სასურველია, პროექტებში მონაწილეობის გაზრდა: წახალისეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათი გამოცდილების და ხილვადობის გასაუმჯობესებლად, რითაც გაძლიერდება პროგრამა.
- სასურველია, წახალისოთ კონფერენციაში მონაწილეობა: აქტიურად წახალისეთ პერსონალი, მონაწილეობა მიიღონ საჯარო მმართველობის კონფერენციებში, რათა ინფორმაცია მიიღონ უახლესი მოვლენების შესახებ და გაიუმჯობესონ აკადემიური და პროფესიული ქსელები.
- სასურველია, სოციალური გარანტიების გაძლიერება: უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. ეს გადაწყვეტია პერსონალის საერთო კეთილდღეობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის. ჩაერთეთ ღია და რეგულარულ კომუნიკაციაში პერსონალთან, რათა გაიგოთ მათი საჭიროებები და გაითვალისწინოთ მათი უკუკავშირი სოციალური გარანტიების პოლიტიკაში.

4.4

- სასურველია, კომპიუტერული სადგურების გაზრდა: სასურველია, კომპიუტერული სადგურების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად საჯარო მმართველობის ფაკულტეტზე.
- სასურველია, წიგნების კოლექციის გაზრდა როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში.

4.5

სასურველია დამატებითი დაფინანსება: მოიძიეთ დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები საერთაშორისო და ეროვნული განვითარებისა და კვლევითი გრანტებიდან.

პროგრამა 2

3.1

როდესაც შევხვდით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს (თითქმის 30 სტუდენტი და კურსდამთავრებული), თვალსაჩინო იყო ინგლისურ ენაზე საუბრის პრობლემა (მაგისტრანტებს B2 დონის ტესტი აქვთ ჩაბარებული). სასურველია მეტი ყურადღება დაუთმოს სასწავლო პროცესში უცხო ენის დონის ამაღლებას.

3.2

- სასურველია მცირე საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების დანერგვა, რაც კარგი იქნებოდა სტუდენტებისა და ლექტორების წასახალისებლად, რომ გამოიყენონ მონაცემთა ბაზები და გაზარდონ სამეცნიერო აქტივობა.
- სასურველია გაძლიერდეს მაგისტრანტებსა და ლექტორებს შორის ერთობლივი კვლევის/მონოგრაფიის/სტატიის შექმნა. ბაზების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის მაგისტრანტებთან უნდა ჩატარდეს დამატებითი ტრენინგები.

4.1

- სასურველია, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გასაძლიერებლად
- სასურველია, გააძლიეროს დამსაქმებლის ჩართულობა სტუდენტებთან, რათა განავითარონ მომავალი უნარები.

4.2

- სასურველია, გააუმჯობესოს სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური ხარისხი, უზრუნველყოს აკადემიური ლიტერატურის სწორი მითითება, უპირატესობა მიანიჭოს აკადემიურ რესურსებს, არაკადემიური წყაროების ნაცვლად.

- სასურველია, სასწავლო კურსებისა და სამუშაო შეხვედრების უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალისთვის.

4.3

სასურველია, წახალისოთ კონფერენციაში მონაწილეობა: წახალისეთ პერსონალი, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ საჯარო მმართველობის კონფერენციებში, რათა გაეცნონ ამ სფეროში მიმდინარე ტენდენციებსა და კვლევებს.

4.4

სასურველია, კომპიუტერული სადგურების გაზრდა: სასურველია, კომპიუტერული სადგურების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად საჯარო მმართველობის ფაკულტეტზე.

საბიბლიოთეკო რესურსები: სასურველია, განიხილოთ ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული წიგნების და სხვა ციფრული რესურსების შექმნა საჯარო მმართველობის სფეროში და ამგვარად უზრუნველყოთ სტუდენტების კვლევისა და სწავლის მხარდაჭერა.

სასურველია წიგნების კოლექციის გაზრდა როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი არის პროფესიონალი და თავისი დაწესებულების ერთგული.
- ძლიერი თანამშრომლობა და არსებითი მხარდაჭერა ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების მხრიდან.

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

არგუმენტირებული პოზიციის გაანალიზების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ამოიღო 5.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საჯარო მმართველობის პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სრულად განხორციელდა წინა აკრედიტაციის რეკომენდაციები, რამაც გამოიწვია სასწავლო გეგმის ცვლილებები. ძირითადი განახლებები მოიცავდა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის და გაეროს

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

განვითარების პროგრამის ანგარიშების დამატებას კურსების სილაბუსებში და საერთაშორისო მეცნიერებთან თანამშრომლობის გაძლიერებას. გარდა ამისა, გადაიხედა კურსების სათაურები და დაემატა კურსები საჯარო სერვისების მართვის შესახებ.

უფრო მეტიც, არჩევითი უნარები, როგორცაა გადაწყვეტილების მიღება და კონკურსის მართვა, დაემატა არჩევით კურსებში.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁵
2. კლასტერული შეფასება⁶

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული

⁵**შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁶ **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადგინდა, რომ კლასტერში დაჯგუფებულ საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს აქვთ კარგად განსაზღვრული მიზნები, კომპეტენციები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული.

თითოეული პროგრამის მიზნები და სტრუქტურა შეესაბამება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კლასტერში შემავალი საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ლოგიკურად არის დაკავშირებული, შეესაბამება სასწავლო სფეროს და საქართველოს საკანონმდებლო სტრატეგიულ ჩარჩოს. საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა- დონე 6

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის (BA) მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gu.edu.ge საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ბიბლიოთეკაში. პროგრამის მიზნები აკონკრეტებს პროგრამით განსაზღვრული კვალიფიციური სპეციალისტის (საჯარო მმართველობის ბაკალავრის, მე-6 დონე) განვითარებას. ეს მიზნები სპეციფიკურია საჯარო მმართველობისთვის და აკმაყოფილებს ბაკალავრიატის განათლების მოთხოვნებს. პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულების მიერ შეძენილი ან განვითარებული კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, ასევე სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2- საჯარო მმართველობა - დონე 7

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის საჯარო, ნათელი, ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო. პროგრამის მიზნები შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოში გაწერილ მოთხოვნებს და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას გააგრძელონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე -ISCED-8 დოქტორანტურაზე.

სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ პროფესიულ კარიერას საჯარო მმართველობის სფეროს წამყვან პოზიციებზე.

თუმცა, შეიძლება გამოვყოთ ერთი საკითხი, კერძოდ, პროგრამის მიზნები ნათლად არ გამოხატავს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტებს. რადგან, როდესაც ვსაუბრობთ თანამედროვე და კვალიფიციურ საჯარო მოხელეზე, ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი მთავარი ელემენტია - საერთაშორისო პრაქტიკისა და თანამშრომლობის გარეშე, საჯარო მოხელეს არ ექნება შესაძლებლობა, ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს, გადაჭრას პრობლემები და დარჩეს კონკურენტუნარიანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.gu.edu.ge

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 – საჯარო მმართველობა – დონე 7

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სამაგისტრო პროგრამის მიზნებში

შეფასება 7

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, დონე 6	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, დონე 7		x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის პროგრამის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების, მოდიფიკაციისა და ფორმულირების პროცესებში.

საჯარო მმართველობის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამების მიზნებთან და შესაბამისი სწავლის სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებთან. გარდა ამისა, პროგრამათა სწავლის შედეგები მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რაც სტუდენტს ექნება პროგრამების დასრულებისას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა, დონე 6

წარმოდგენილი პროგრამისა და თვითშეფასების მიხედვით, პროგრამის შედეგები ასეთია:

ცოდნა და გაცნობიერება

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს საჯარო მმართველობის არსს, ფუნქციებს, კონსტიტუციურ საფუძვლებს, პრინციპებს, სისტემას, ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, საჯარო მმართველობის კონცეპტუალურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის ორგანიზების სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს, საჯარო პოლიტიკის მეთოდებს, კატეგორიებს, კონცეფციებსა და მოდელებს, სტრატეგიული მართვის პროცესსა და კოორდინაციის მექანიზმებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებს და ინსტრუმენტებს, კარიერის დაგეგმვის მეთოდებს, კონფლიქტური სიტუაციების მართვის მეთოდებს, საჯარო სამსახურის პრინციპებს, მართვის სისტემას, საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს, საჯარო სერვისების წარმოებისა და მიწოდების სტანდარტებს, ინოვაციებით მართვისა და ციფრული მმართველობის ინსტრუმენტებს, საჯარო ფინანსების მართვის, კონტროლის პრინციპებსა და მექანიზმებს, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების მართვის სტანდარტებს, ასევე ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის მართვის მექანიზმებს, „კარგი მმართველობის“ სტანდარტებსა და მათი განხორციელების ინსტრუმენტებს;
- ხსნის საჯარო მმართველობის პროცესების სპეციფიკას, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვისა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობას.

უნარები:

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ამოიცნობს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს, საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს, იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;
- შეიმუშავებს მმართველობითი გადაწყვეტილებების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების პროექტებს, საჯარო მმართველობის სფეროში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს, ასევე საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს (ნაშრომს) აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ანალიზებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პროცესებს, მოიძიებს, აგროვებს, ამუშავებს და განმარტავს საჯარო მმართველობის სფეროსთვის დამახასიათებელ განყენებულ მონაცემებს ან/და სიტუაციებს, სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;

- აყალიბებს საჯარო მმართველობის კონკრეტული სფეროების მოდერნიზაციის, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების ან/და საჯარო მმართველობის ევროპეიზაციის თაობაზე არგუმენტირებულ დასკვნებს;
- მსჯელობს საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით განხორციელებელი სიღრმისეული რეფორმების შედეგების, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემების გადაჭრისას მოქმედებს საჯარო მოხელის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მონაწილეობისას პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებებს;
- ავლენს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით, ასევე ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ითვალისწინებს საჯარო მმართველობის სფეროს თავისებურებებს და არის მიღწევადი და რეალისტური.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2- საჯარო მმართველობა - დონე 7

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის შედეგები ასეთია:

ცოდნა და გაცნობიერება

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის კლასიკურ და თანამედროვე კონცეფციებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის ამოცანებს, საჯარო მმართველობის პრინციპების სტრუქტურას, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ევროპის ქვეყნების საჯარო მმართველობის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და უფლებამოსილებებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, „კარგი მმართველობის“ პრინციპებს, კონცეფციებსა და სტანდარტებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს, კორუფციის

წინააღმდეგ ბრძოლის მიზანსა და კორუფციული რისკების პრევენციულ მექანიზმებს, საჯარო ფინანსების მართვის პრინციპებსა და მექანიზმებს, სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მექანიზმებს, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპებს, საჯარო პოლიტიკის ანალიზის მოდელებს, რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) მიზნებს, პრინციპებს და შინაარსს, რეგულირების გავლენის შეფასების ძირითად კომპონენტებს, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციურ სტრატეგიებს, საჯარო სექტორში უწყვეტი პროფესიული და კარიერული განვითარების ინსტრუმენტებს, საჯარო სერვისებისა და პროექტების მართვის სახეებს, ძირითად პრინციპებს, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ასევე აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური კეთილსინდისიერების წესებს, კვლევის ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს;

- განსაზღვრავს ევროკავშირის როლს საქართველოს სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო სამსახურის ინსტიტუციური განვითარების პროცესში, ასევე კარგ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის კონსტიტუციურ ვალდებულებას და საჯარო სექტორის მრავალდონიანი მართვის მოდელში, მმართველობის განვითარების ტენდენციებს.

უნარები

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- შეიმუშავებს საჯარო მმართველობის სფეროში ინოვაციურ იდეებს, კონსტრუქციულ მმართველობით გადაწყვეტილებებს, საჯარო სექტორში სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, პროგრამებსა და პროექტებს, კვლევაზე დაფუძნებულ ანალიტიკურ ანგარიშებს, სტრატეგიულ პრიორიტეტებს, ასევე საჯარო მმართველობის სფეროში არსებული რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს;
- ამოიცნობს საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ რთულ პრობლემებს, საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს (ნაშრომს);
- სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, მოიძიებს, აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ფართო სპექტრის რთულ ან არასრულ ემპირიულ ინფორმაციას, პირველად მონაცემებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და, კარგი მმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით, საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორებისა და საჯარო მმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე, შეიმუშავებს შესაბამის არგუმენტირებულ დასკვნებს;
- აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წარუდგენს მმართველობის სფეროში არსებული გამოწვევების, საჯარო

მმართველობის სისტემის გაუმჯობესების, მმართველობის კონკრეტული სფეროების მოდერნიზაციის, ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის, საჯარო მმართველობის ევროპეიზაციის თაობაზე საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წერიითი და ზეპირი ფორმით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ავლენს საჯარო მმართველობის სფეროში სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
- ცნობს საჯარო მმართველობის სფეროში ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, იცავს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს, ადამიანის უფლებებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ქცევაზე და გუნდის წევრთა პროფესიულ განვითარებაზე, საერთო გუნდური გადაწყვეტილების მიღებისას.

აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ითვალისწინებს საჯარო მმართველობის სფეროს თავისებურებებს და არის მიღწევადი და რეალისტური. თუმცა, თუ ჩაითვლება, რომ ინტერნაციონალიზაციის საკითხები უფრო მკაფიოდ უნდა ჩაიწეროს პროგრამის მიზნებში, რა თქმა უნდა, ეს უნდა აისახოს პროგრამის შედეგებშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.gu.edu.ge

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 – საჯარო მმართველობა – დონე 7

რჩევები: სასურველია, რომ როდესაც ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი მკაფიოდ ჩაიწერება პროგრამის მიზნებში, ის ასევე უნდა აისახოს პროგრამის შედეგებში.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. თითოეული პროგრამა ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად შეფასდება.

შეფასების პროცესში გამოყენებულია „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“. პროგრამის შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა იყოს მითითებული შეფასების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება შეფასების პროცესში თითოეული სწავლის შედეგისთვის. შეფასებული სტუდენტების რაოდენობა უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადეკვატური ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასების რამდენიმე ინდიკატორის გამოყენებით უნდა შეფასდეს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, აუცილებელია მათი შეფასება არაპირდაპირი მეთოდებითაც (მაგ. სტუდენტების,

პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, გასაუბრებები შესაბამის ფოკუს ჯგუფებთან და ა.შ.).

პროგრამის სწავლის შედეგების საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება განისაზღვრება შეფასების თითოეული მეთოდიდან მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით. თუ პროგრამის სწავლის შედეგების საბოლოო შეფასება არის მინიმუმ 70%, სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება.

შეფასების პროცესის დასკვნითი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი არის გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მიმართულია გამოვლენილი პრობლემების გადაჭრაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესებას როგორც კურსის, ასევე პროგრამულ დონეზე. შეფასების შედეგებს უზიარებენ ფაკულტეტებს და პროგრამის მენეჯერებს, რის შემდეგაც მიმდინარეობს დისკუსია გამოვლენილ პრობლემებსა და შესაძლო გადაწყვეტილებებზე.

შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისი რეაგირებისთვის წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ხოლო შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პერიოდულად ტარდება - როგორც კი შეფასდება ყველა შედეგი სტუდენტთა შერჩეული ჯგუფისთვის, ირჩევა ახალი სამიზნე ჯგუფი და იწყება შეფასების ახალი ციკლი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი				
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარება და წინსვლა განხორციელდა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის, უნივერსიტეტში არსებული ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდა „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა- დონე 6

თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე ვიგებთ, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან (ECTS), რომელიც მოიცავს სწავლის ძირითად მიმართულებების შესაბამის კურსებს და თავისუფალ კომპონენტებს.

კრედიტები გამოიყოფა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, წელიწადში საშუალოდ 60 კრედიტი, სემესტრში კი - 30 კრედიტი. 1 კრედიტი - 25 საათი, რომელიც მოიცავს როგორც საკლასო ასევე დამოუკიდებელ სამუშაოს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 აკადემიური სემესტრი ანუ 4 წელი. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა მოიცავს სწავლის ძირითადი დარგის სავალდებულო კურსებს (160 ECTS) და ძირითადი დარგის არჩევით კურსებს (30 ECTS), ასევე თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებს (35 ECTS), თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებს (15 ECTS). თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები (35 ECTS) მოიცავს საბაზისო (10 ECTS) და ინგლისური ენის კურსებს (25 ECTS). ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა 5 აკადემიური სასწავლო სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, მე-5 აკადემიურ სემესტრში სტუდენტი შეისწავლის ძირითადი დარგის შესაბამის პროფესიულ ინგლისურ ენას. ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსები (160 ECTS) მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს (10 ECTS) და პრაქტიკულ კომპონენტს (10 ECTS).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ადეკვატურად არის განსაზღვრული მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები; პროგრამის საგანმანათლებლო და პრაქტიკული კომპონენტები ლოგიკურადაა დალაგებული.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ბიბლიოთეკაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2- საჯარო მმართველობა - დონე 7

თვითშეფასების ანგარიშიდან, წარმოდგენილი პროგრამიდან და ადგილზე გასაუბრებიდან დგინდება, რომ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სულ 120 ECTS კრედიტს. როგორც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, აქაც გვაქვს კანონმდებლობასთან შესაბამისობა - ერთი სასწავლო წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტი, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა - 30 კრედიტი. შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 აკადემიური სემესტრი ან 2 სასწავლო წელი. დასაშვებია ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სასწავლო დატვირთვა 75 (ECTS) კრედიტს აღემატებოდეს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

პროგრამა შედგება საგანმანათლებლო (90 ECTS) და კვლევითი (30 ECTS) კომპონენტებისგან. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი (90 ECTS) მოიცავს სავალდებულო კურსებს (60 ECTS), არჩევით კურსებს (15 ECTS) და საჯარო მმართველობის კლინიკას - პრაქტიკულ კომპონენტს (15 ECTS). საჯარო მმართველობის კლინიკა (15 ECTS) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება. საჯარო მმართველობის კლინიკას სტუდენტი გადის შესაბამისი პროფილის პარტნიორ ორგანიზაციებში. სპეციალობით დასაქმებულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პრაქტიკა

გაიაროს უშუალოდ უსდ-შიც, უსდ-ის მიერ ორგანიზებულ საჯარო მმართველობის კლინიკაში.

საგანმანათლებლო პროგრამის არსებითი კომპონენტია კვლევითი კომპონენტი, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარებაზე. პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით (30 ECTS კრედიტი). სამაგისტრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, მისი საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად ორგანიზებული და თანმიმდევრულად განვითარებულია. მომდევნო კომპონენტებზე გადასვლის წინაპირობები სათანადოდ არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სამაგისტრო სწავლის დონეს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის; ის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუმჯობესების ინსტრუქცია.
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.gu.edu.ge
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრებების შედეგების ჩათვლით

რეკომენდებულია, გააუმჯობესოთ იმ პერსონალის შემადგენლობა, რომელიც ახორციელებს სასწავლო კურსებს და საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ კომპონენტებს. აღინიშნა, რომ მსგავსი რეკომენდაციები წარსულშიც იყო გაცემული. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა 2015 წლიდან არსებობს, საკმარისი დრო იყო შესაბამისი აკადემიური პერსონალის დასაკომპლექტებლად.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია, უნივერსიტეტის დონეზე ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გაძლიერება ან დამატება.

- სასურველია, პერსონალის კვლევისა და განვითარების ბიუჯეტის გაზრდა რათა მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.
- სასურველია, ჩამოაყალიბოთ საჯარო მმართველობის კვლევითი ცენტრი აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად. ეს ცენტრი ჩაატარებდა კვლევებს, მოაწყოდა კონფერენციებს და გამოაქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს საჯარო მმართველობის სფეროში. პერსონალის წახალისება, რომ გამოიწერონ შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალები, ასევე გააძლიერებს მათ აღქმას და ხელს შეუწყობს მუდმივ პროფესიულ ზრდას.
- სასურველია, გააფართოვოთ აკადემიური პოზიციის რეკლამირება უნივერსიტეტის ვებგვერდისა და ფეისბუქის გვერდის მიღმაც, რათა გამოიყენოთ დამატებითი პლატფორმები (მაგ. Jobs.ge) უფრო ფართო აუდიტორიაზე გასასვლელად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1: საჯარო მმართველობა - საფეხური 6

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის დარგთან რელევანტური დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასწავლო კურსებში ჩართული პერსონალის შემადგენლობის გაუმჯობესება.
- რეკომენდებულია, წახალისოთ პერსონალის მონაწილეობა საჯარო მმართველობის კონფერენციებში.
- რეკომენდებულია, შექმნათ სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ფონდი პერსონალის და/ან სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდასაჭერად.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, დაამატოთ/გააძლიეროთ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის დონეზე
- სასურველია, წახალისოთ პერსონალის მონაწილეობა საჯარო მმართველობის კონფერენციებში. სასურველია, პერსონალის წახალისება საჯარო მმართველობის კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მისი მდგრადობისთვის და პერსონალის სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიზნით; სასურველია შეიქმნას სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ფონდი, რომელიც იქნება სათათბირო ორგანო და განიხილავს პერსონალის ან/და

სტუდენტების მიერ წარდგენილ პროექტებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მათ დაფინანსებაზე;

- სასურველია უნივერსიტეტის ბიუჯეტში პერსონალის კვლევისა და განვითარების ხარჯების გაზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე.
- სასურველია, მოწვეული პერსონალის ტრენინგი აკადემიური გარემოს გაცნობისა და მასთან შეგუების, პროგრამის მიზნებისა და ამოცანების გააზრებისა და გაზიარებისთვის;
- სასურველია, შექმნათ სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ფონდი პერსონალის და/ან სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდასაჭერად. სასურველია, პერსონალს შორის აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, უნივერსიტეტმა განიხილოს უშუალოდ საჯარო მმართველობის კვლევითი ცენტრის შექმნა. ეს კვლევითი ცენტრი იმუშავებს როგორც საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის ჩატარების, კონფერენციების ორგანიზებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ჰაბი. ასეთი ცენტრის შექმნით, უნივერსიტეტს შეუძლია უზრუნველყოს პლატფორმა პერსონალისთვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ საჯარო მმართველობის ცოდნის შექმნაში და ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებითა და შეხედულებებით. გარდა ამისა, პერსონალის წახალისება, რომ წაიკითხოთ და გამოიწერონ შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალები კიდევ უფრო გააძლიერებს მათ აღქმას დარგის უახლესი მოვლენების შესახებ და ხელს შეუწყობს მუდმივ სწავლასა და პროფესიულ ზრდას.

პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის დარგთან რელევანტური დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასწავლო კურსებში ჩართული პერსონალის შემადგენლობის გაუმჯობესება.

რჩევები:

- სასურველია, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გასაძლიერებლად
- სასურველია, გააძლიეროთ დამსაქმებლის ჩართულობა სტუდენტებთან, რათა განავითარონ მომავალი უნარები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, დონე 7	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა 2 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

პერსონალის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიით და უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის უკუკავშირის მიწოდებას. აკადემიური პერსონალი ვალდებულია წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში მათი სწავლების, კვლევისა და სხვა სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მითითებით.

ამ შეფასებების შედეგები გამოიყენება პერსონალთან დაკავშირებული სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავების, ტრენინგების, დაწინაურების, დაქვეითების, ხელფასის კორექტირების, როტაციისა და სხვა საკადრო საკითხების გადასაწყვეტად. შეფასების პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალისთვის სასარგებლო იქნება წარადგინონ პერსონალური განვითარების გეგმა თავიანთი წლიური საქმიანობის ანგარიშთან ერთად. ეს გეგმა უნდა ასახავდეს მათ დაგეგმილ აქტივობებს და პროფესიულ მიზნებს.

კლასტერის ხელმძღვანელები ზოგადად აკმაყოფილებენ ხარისხის მოთხოვნებს, რომლებიც ეხება მიღწევებს შესაბამის სფეროებში, ახალგაზრდა მეცნიერების მომზადებაში გამოცდილებასა და საერთაშორისო ხილვადობას. ეს მოთხოვნები კარგად არის განსაზღვრული დაწესებულების რეგულაციებში და უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სათანადო პროცედურები და პროტოკოლები მათი შესრულების მონიტორინგისთვის. ხელმძღვანელები ყურადღებას აქცევენ სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება აკადემიურ ხარისხებს, შესაბამის სფეროში კვლევით გამოცდილებას, პუბლიკაციების რაოდენობას და ახალგაზრდა მეცნიერების მენტორობის გამოცდილებას.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა გააგრძელოს რესურსებისა და ძალისხმევის ინვესტირება აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში, ასევე კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაში.

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7¹⁴			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები¹⁵	მათ შორის, ავილირებულ აკადემიური პერსონალი
სულ	16	16	16
- პროფესორი	10		10
- ასოცირებული პროფესორი	2		2
- ასისტენტ-პროფესორი	-		-
მოწვეული პერსონალი	-		-
სამეცნიერო პერსონალი	4		

აღწერა და ანალიზი -პროგრამა - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა: საჯარო მმართველობა, საფეხური 7

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას მხარს უჭერს პერსონალის გუნდი, რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები სტუდენტების დასახმარებლად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. აღნიშნული შეფასდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საშუალებით.

¹⁴ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

აღსანიშნავია, რომ 16 მასწავლებლიდან, რომლებიც ჩართულნი არიან სამაგისტრო პროგრამაში, მხოლოდ 3 ფლობს საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხს, და ყველა მათგანი მოწვეული სპეციალისტია. ეს მიუთითებს უნივერსიტეტის საჭიროებაზე გააძლიეროს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რათა გააორმაგოს საჯარო მმართველობაში უმაღლესი ხარისხის მქონე დიპლომიანთა რიცხვი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები
- გასაუბრების შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
- საჯარო მმართველობის ფაკულტეტის უზრუნველყოფა და სტრუქტურა.
- ინსტიტუციური რეგულაციები აკადემიური პერსონალის რეკრუტირებასა და კონკურსში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის პერსონალის წევრების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- ინფორმაცია პერსონალის სიაზე და მათ პერსონალურ ინფორმაციაზე.
- პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა
- დაწესებულების ვებგვერდი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკი, მათ შორის მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები
- გასაუბრებები მმართველ პერსონალთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდებულია, გააძლიეროთ დასაქმების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში დოქტორის ხარისხის მქონე მეტი თანამშრომლის მოზიდვით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სარგებელს დარგში გამოცდილების უფრო ფართო ბაზით.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, გააუმჯობესოთ სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური ხარისხი, უზრუნველყოთ აკადემიური ლიტერატურის სწორი მითითება, უპირატესობა მიანიჭოთ აკადემიურ რესურსებს, არააკადემიური წყაროების ნაცვლად.
- სასურველია, სასწავლო კურსებისა და სამუშაო შეხვედრების უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, დონე 6	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, დონე 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალისა და პერსონალის კმაყოფილების მონიტორინგი და შეფასება ეფექტურად არის ინტეგრირებული გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულარულ ინსტიტუციურ პროცედურებში. უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა სტუდენტების, მასწავლებლებისა და კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღების მკაფიო მექანიზმები

გამოკითხვებისა და სწავლების მეთოდებთან და აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვების სხვა მეთოდებით. არსებობს სპეციალური ღონისძიებები სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად. გასაუბრების დროს მოწოდებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია მიუთითებს, რომ ამ შეფასებების შედეგები გამოიყენება მუდმივი გაუმჯობესებისა და პერსონალის მხარდაჭერისთვის.

უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამაში ჩართული როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას. ლექტორების მუშაობის შესახებ უკუკავშირი გროვდება სტუდენტების გამოკითხვებით და შესაბამისი ზომები მიიღება ამ უკუკავშირის საფუძველზე.

გასაუბრებებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობას. ამ შეფასებების შედეგები გავლენას ახდენს პერსონალის დაწინაურებაზე და წახალისებაზე. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სამეცნიერო საქმიანობას სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების, კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა კვლევითი საქმიანობების თანადაფინანსების შეთავაზებით. გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ ზოგიერთმა მასწავლებელმა შეიძლება ისარგებლოს ინგლისური ენის ცოდნის განახლებული ტრენინგით. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ლექტორების ინგლისური ენის ცოდნის დონეები ეფექტური კომუნიკაციისა და სწავლების უზრუნველსაყოფად. მაღალი ხარისხის კვლევითი საქმიანობის შესანარჩუნებლად უნივერსიტეტმა დანერგა შიდა შეფასების სისტემა. აკადემიური პერსონალი ვალდებულია წარადგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს მათ სამეცნიერო საქმიანობას უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ ანგარიშების საფუძველზე გამოითვლის სამეცნიერო პროდუქტიულობის საერთო მაჩვენებელს და რთავს მათ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარსადგენ დოკუმენტაციაში. მთლიანობაში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს კვლევის კულტურას და მხარი დაუჭიროს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საჯარო მმართველობის ფაკულტეტის სამეცნიერო ანგარიშები.
- სასწავლო პერსონალის შრომითი ბიოგრაფიები.
- დაწესებულების ვებგვერდი
- პერსონალის საქმიანობისა და კმაყოფილების გამოკითხვების შედეგები.
- ინფორმაცია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ.
- საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

- თვითშეფასების ანგარიშები.
- გასაუბრებები მმართველ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ორგანიზებული ღონისძიებები.
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმები.
- მონაცემები პერსონალის მონაწილეობაზე საერთაშორისო და/ან სამეცნიერო კვლევით პროექტებში, კონფერენციებსა და ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია პერსონალის სოციალური გარანტიების გაძლიერება: უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. ამ გარანტიების გაძლიერება გადაწყვეტია პერსონალის კეთილდღეობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის.
- სასურველია რეგულარული და ღია კომუნიკაცია პერსონალთან მათი საჭიროებების გასაგებად და მათი უკუკავშირის ჩართვა სოციალური გარანტიების პოლიტიკის შემუშავებაში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. სასურველია, კომპიუტერული პროგრამების რესურსების გაფართოება: სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს კომპიუტერული პროგრამების რესურსები, რათა შეიტანოს დამატებითი ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება სტუდენტებს დასჭირდეთ კვლევითი საქმიანობისთვის. ეს დაეხმარება სტუდენტებს, ჰქონდეთ წვდომა საჭირო რესურსებზე, მაღალი ხარისხის კვლევის ჩასატარებლად.
- სასურველია, გააძლიეროთ უკუკავშირის ინტეგრაცია: გააძლიერეთ გამოკითხვებისა და სტუდენტთა შეფასების სასწავლო პრაქტიკაში ინტეგრირების პროცედურები. ეს უზრუნველყოფს უკუკავშირის ეფექტურად გამოყენებას სასწავლო პროცესის და სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა - საფეხური 6

რჩევ(ებ)ი:

სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის გაძლიერება: ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის გათვალისწინებით, რეკომენდებულია საერთაშორისო აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, პუბლიკაციებთან და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან, როგორც სასწავლო პერსონალისთვის, ასევე მაგისტრანტებისთვის. ეს მოიცავს მეტი რესურსების და შესაძლებლობების უზრუნველყოფას საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის. სასურველია, საჯარო მმართველობის კვლევითი ცენტრის შექმნა: აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს უშუალოდ საჯარო ადმინისტრირების კვლევითი ცენტრის შექმნა. ეს კვლევითი ცენტრი იმუშავებს როგორც საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის ჩატარების, კონფერენციების ორგანიზებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების ჰაბი და ამგვარად ხელს შეუწყობს პერსონალისა და სტუდენტების თანამედროვე კვლევებში ჩართულობას. ეს ყველაფერი ორიენტირებული იქნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სასურველია, პროექტებში მონაწილეობის გაზრდა: წახალისეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათი გამოცდილების და ხილვადობის გასაუმჯობესებლად, რითაც გაძლიერდება პროგრამა.

სასურველია, წახალისეთ კონფერენციაში მონაწილეობა: აქტიურად წახალისეთ პერსონალი, მონაწილეობა მიიღონ საჯარო მმართველობის კონფერენციებში, რათა ინფორმაცია მიიღონ უახლესი მოვლენების შესახებ და გაიუმჯობესონ აკადემიური და პროფესიული ქსელები.

სასურველია, სოციალური გარანტიების გაძლიერება: უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. ეს გადამწყვეტია პერსონალის საერთო კეთილდღეობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის. ჩაერთეთ ღია და რეგულარულ კომუნიკაციაში პერსონალთან, რათა გაიგოთ მათი საჭიროებები და გაითვალისწინოთ მათი უკუკავშირი სოციალური გარანტიების პოლიტიკაში.

პროგრამა 2 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სოციალური გარანტიების გაძლიერება: უნივერსიტეტის პერსონალისთვის უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. ეს ხელს შეუწყობს პერსონალის კეთილდღეობის, სამუშაო კმაყოფილების და სტაბილურობის უზრუნველყოფას. აუცილებელია

რეგულარული კომუნიკაცია პერსონალთან მათი საჭიროებების გასაგებად და მათი უკუკავშირის ჩართვა სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, წახალისოთ კონფერენციაში მონაწილეობა: წახალისეთ პერსონალი, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ საჯარო მმართველობის კონფერენციებში, რათა გაეცნონ ამ სფეროში მიმდინარე ტენდენციებსა და კვლევებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის პროგრამებს აქვთ საკმარისი საგანმანათლებლო მატერიალური რესურსი, მათ შორის სპეციალურად გამოყოფილი სივრცეები როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების. თუმცა,

საჭიროა გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბიბლიოთეკისა და საგანმანათლებლო აუდიტორიებში ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ. უნივერსიტეტს აქვს ახალი ბიბლიოთეკის და საკითხავი სივრცის აშენების გეგმები, მაგრამ არსებული რესურსები საჭიროებს დამატებით ზრდას, განსაკუთრებით ბიბლიოთეკის მასალების განახლების და კლასებში ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესების მიმართულებით.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობა - საფეხური 6

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული დოკუმენტები
- დაწესებულების ვებგვერდი
- საბიბლიოთეკო რესურსი, კატალოგი და ვებგვერდი
- ინფორმაცია ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მმართველ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

სასურველია, საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების გაუმჯობესება: არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხის ამაღლება და ბიბლიოთეკის რესურსების გამდიდრების გაგრძელება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა, საფეხური 6

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, კომპიუტერული სადგურების გაზრდა: სასურველია, კომპიუტერული სადგურების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად საჯარო მმართველობის ფაკულტეტზე.

- სასურველია, წიგნების კოლექციის გაზრდა როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში.

პროგრამა 2 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

რჩევები:

სასურველია, კომპიუტერული სადგურების გაზრდა: სასურველია, კომპიუტერული სადგურების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტის შენობაში და კონკრეტულად საჯარო მმართველობის ფაკულტეტზე.

საბიბლიოთეკო რესურსები: სასურველია, განიხილოთ ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული წიგნების და სხვა ციფრული რესურსების შექმნა საჯარო მმართველობის სფეროში და ამგვარად უზრუნველყოთ სტუდენტების კვლევისა და სწავლის მხარდაჭერა.

სასურველია წიგნების კოლექციის გაზრდა როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
 კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფინანსური რესურსების განაწილება შეესაბამება პროგრამების საჭიროებებს. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით და დამატებითი დაფინანსების მოპოვების მიმდინარე მცდელობებით. ფინანსური სტაბილურობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო ინსტიტუტებთან და გამოიყენოს ეს კავშირები დაფინანსების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა, საფეხური 6

უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის საპროგნოზო ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პროგრამის ხარჯების განყოფილება. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევისა და განვითარებისთვის 7000 ლარია გამოყოფილი. ჩვენ გვჯერა, რომ ფინანსური დოკუმენტის ეს ნაწილი უნდა გაიზარდოს, რათა უფრო მეტ მასწავლებელს მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში, ტრენინგ-სესიასა და სამუშაო შეხვედრაში და მეტ მასწავლებელს მიეცეს შესაძლებლობა უნივერსიტეტს დააფინანსებინოს სხვადასხვა სტატიის გამოქვეყნება უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია მოიძიოთ დამატებითი დაფინანსება: გააგრძელოთ ძალისხმევა გრანტების და თანხლები დაფინანსების მოსაპოვებლად.
- სასურველია გაზარდოთ პერსონალის კვლევისა და განვითარების ხარჯების ბიუჯეტი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1: საჯარო მმართველობა - საფეხური 6

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ბიუჯეტის გაზრდა: დამატებითი თანხების გამოყოფა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევის მხარდასაჭერად.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია დამატებითი დაფინანსება: მოიძიეთ დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობები საერთაშორისო და ეროვნული განვითარებისა და კვლევითი გრანტებიდან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობა შეა მოთხოვნებ ან	მეტწილად შესაბამისობა შეა მოთხოვნებ ან	ნაწილობრივ შესაბამისობა შეა მოთხოვნებ ან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია აღნიშნული, უნივერსიტეტში დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის დებულების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი შეფასების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ფაკულტეტთან. ფაკულტეტის წევრებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ეს პარტნიორობა მოიცავს მათ მონაწილეობას კოლეგების შეფასებაში, პროგრამის განვითარების კვლევებში და მათ მიერ წაკითხული კურსების სემესტრის ბოლოს შეფასებაში. გარდა ამისა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, პერსონალი პასუხისმგებელია სილაბუსების განახლებასა და შეცვლაზე ხარისხის შეფასების ან საკუთარი ინიციატივების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესებას.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიჰყვება ციკლურ პროცესს - დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე - უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც იქმნება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაწილეობით. ისინი ერთად აგვარებენ ნებისმიერ გამოვლენილ საკითხს. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გადაემოწმებინა ინფორმაცია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მუშაობდა თუ არა პროცესი ისე, როგორც ეს დოკუმენტებშია აღნიშნული, მასწავლებლებმა და დამსაქმებლებმა დაადასტურეს მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტთან და მისცეს გარკვეული რეკომენდაციები. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, მათ შორის იმ შეკითხვებს, რომლებიც გაგზავნილია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან.

როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, პროგრამის შიდა შეფასების პროცესი ასევე განსაზღვრავს ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ სფეროებს აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში და განსაზღვრავს საჭირო მოქმედებებსა და გაუმჯობესების ვადებს.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კურსდამთავრებულებს და გადაამოწმა შეიტანეს თუ არა წვლილი პროგრამის განვითარებაში უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმეს შეეძლო ასეთი შემთხვევის გახსენება. ექსპერტთა ჯგუფმა ეს საკითხი განიხილა ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან შეხვედრისას, როგორც აღმოჩნდა, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გასაუბრებაზე მოწვეული კურსდამთავრებულთა ჯგუფი ახლახან დამთავრებული სტუდენტები იყვნენ, ამიტომ მათ არ ჰქონდათ იმდენად ბევრი შანსი ჩართულიყვნენ პროცესში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო მმართველობა, საფეხური 6

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებენ, პროგრამის შიდა შეფასების შემდეგ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მისი განვითარების გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაში მოვიდა საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, რაც განსაზღვრულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N60869 ბრძანებით. როგორც ჩანს, პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე დაემატა კურსი „ელექტრონული მმართველობა“, ხოლო სტუდენტთა გამოკითხვამ გამოიწვია „ეროვნული უსაფრთხოების მენეჯმენტის“ დამატება და უფასო არჩევითი კრედიტების 6-დან 15-მდე გაზრდა. დამატებით დოკუმენტებში ნათქვამია, რომ კურსდამთავრებულთა გამოხმაურებამ გამოიწვია „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების“ გადახედვა, რომელსაც ეწოდა „საჯარო სამსახურში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საფუძვლები“ და დაემატა „საჯარო ინფორმაციაზე წვდომა და პერსონალური მონაცემების დაცვა“. დამსაქმებელთა გამოკითხვამ გამოიწვია ისეთი კურსების დამატება, როგორებიცაა „კულტურის დარგის რეგულირება და მართვა“, „სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება“ და „სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა და სახელმწიფო აქტივების მართვა“. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გასაძლიერებლად ძირითად კურსებს დაემატა საკურსო ნაშრომი/პროექტი, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების გუნდთან გასაუბრებების დროს ითქვა, რომ განხორციელდა რამდენიმე ცვლილება პროგრამის განვითარების გასაუმჯობესებლად. პირველ რიგში, მოცემული პროგრამა თანხვედრაში მოვიდა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 23 იანვრის N60869 ბრძანებით განსაზღვრულ საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან. სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, პრაქტიკული კომპონენტი გაფართოვდა და კრედიტები 12-დან 15-მდე გაიზარდა. პროგრამის პერსონალის უკუკავშირმა განაპირობა სავალდებულო კურსების - „დემოკრატია და კარგი მმართველობა“ და „რისკებისა და კრიზისების მართვა საჯარო სექტორში“, დამატება. კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საპასუხოდ, კურსები, როგორებიცაა "მენეჯერული ეკონომიკა", "რეგიონალიზმი" და "ბიზნეს კომუნიკაცია" შეიცვალა კურსებით "ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში", "საჯარო პოლიტიკა და ანალიზი" და "საჯარო სერვისების და პროექტების სტრატეგიული მენეჯმენტი". გარდა ამისა, „ლიდერობისა და

მართვის თანამედროვე პრინციპები“ შეიცვალა კურსით „ლიდერობა საჯარო სამსახურში“. დამსაქმებელთა გამოკითხვამ გამოიწვია კურსის „საჯარო ფინანსების მართვა და სახელმწიფო ბიუჯეტირება“ დამატება. პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გაძლიერების მიზნით, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამა ახლა მოითხოვს სტუდენტებისგან ძირითად კურსებში საკურსო ნაშრომის ან პროექტის მომზადებასა და დაცვას. ხარისხის შიდა შეფასებამ დაადასტურა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები წარმატებით იქნა მიღწეული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურა.
- პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მასალები.
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- გასაუბრებები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ანგარიშშიც აღიწერა, რომ საჯარო მმართველობის კლასტერში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, წინა გარე ხარისხის შეფასებების დროს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული, რამაც პროგრამის სასწავლო გეგმაში შესაბამისი განახლებები გამოიწვია.

გარდა ამისა, როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წერია, უნივერსიტეტმა გამოიყენა გარე კოლეგიალური შეფასების მექანიზმი. ამ მიზეზით, ორივე პროგრამა გაიგზავნა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში. შეფასებამ დადებითად გამოყო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე ასპექტი, მათ შორის სტრუქტურა და შინაარსი, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, პროგრამული შინაარსის შესაბამისობა, და სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც უკავშირდება მინიჭებულ აკადემიურ ხარისხს. ამავდროულად, შეფასების შედეგები მოიცავდა კონკრეტულ რეკომენდაციებს, რამაც აიძულა თვითშეფასების ჯგუფი დაეწყო პროგრამების შესაბამისი ცვლილებები.

როგორც გასაუბრებების დროს აღინიშნა და დადასტურდა წარმოდგენილ დოკუმენტებში, მოცემულ საანგარიშო პერიოდში, პროგრამამ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები სილაბუსების განახლების შესახებ და შეიტანა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, როგორებიცაა ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა, ასევე, გაძლიერდა საერთაშორისო თანამშრომლობა აღიარებული ინსტიტუციების აკადემიურ პერსონალთან. როგორც ვნახეთ, განხორციელდა რამდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლების“ კურსის სავალდებულო კურსად ქცევა, „კვლევის მეთოდების“ დამატება და ახალი არჩევითი კურსების შემოღება, როგორებიცაა „სახელმწიფო მდგრადი განვითარების პოლიტიკა“ და „პროექტის მენეჯმენტი“. წარდგენილ დოკუმენტაციაში ხაზგასმულია, რომ გარე შეფასების ანგარიშში რეკომენდებულია სავალდებულო კომპონენტში საჯარო სამსახურის მართვის კურსის დამატება და არჩევითი კურსის გაძლიერება ისეთი თემების შემოღებით, როგორებიცაა „გადაწყვეტილების მიღება“ და „კონკურენციის მართვა“. საპასუხოდ, თვითშეფასების ჯგუფმა განახორციელა ცვლილებები, მათ შორის სავალდებულო სასწავლო გეგმაში „საჯარო სერვისებისა და პროექტების სტრატეგიული მენეჯმენტის“ კურსის დამატება და არჩევით კურსებში „გადაწყვეტილების მიღების ქცევითი მოდელების“ შემოღება.

ზოგადად, პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი ღიაა სასწავლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის და ცდილობს მიიღოს მხედველობაში, რათა გააუმჯობესოს სწავლებისა და სწავლის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საჯარო მმართველობის კლასტერში მოცემული სასწავლო პროგრამები;
- გარე კოლეგიალური შეფასების ანგარიშები საჯარო მმართველობის კლასტერისთვის.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც გასაუბრებების დროს აღინიშნა, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასება, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიჰყვება ციკლს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“. ეს პროცესი მოიცავს შეფასების

კრიტერიუმების დადგენას, მონაცემთა შეგროვებას, შესრულების შეფასებას და გამოვლენილი საკითხების გადაჭრას გაუმჯობესების რეკომენდაციებით. როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის კომპონენტების, პერსონალის კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ყოველწლიური შეფასების მიზნით.

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ შეფასებები იყენებს სპეციფიკურ ინდიკატორებს და წყაროებს, როგორებიცაა კურსის სილაბუსები, კოლეგიალური მიმოხილვები და სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები. თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ შეფასებებში გამოიყენება სპეციფიკური ინდიკატორები და წყაროები, როგორიცაა სასწავლო კურსების სილაბუსები, კოლეგების შეფასებები და სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფმა მასწავლებლებთან გადაამოწმა მუშაობდა თუ არა ეს მექანიზმები პრაქტიკაში. როგორც გაირკვა, მათ დაადასტურეს კოლეგიალური თანამშრომლობითი მონიტორინგის პრაქტიკის არსებობა, რაც გულისხმობს, რომ სემესტრში ერთხელ პროგრამის ხელმძღვანელი დეკანთან ერთად შესაძლოა დაესწროს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სალექციო კურსებს და გასცეს განმავითარებელი უკუკავშირი. ამასთან, სტუდენტები სემესტრში ერთხელ აფასებენ სასწავლო პროცესს, ზოგადად კურსებს და პროფესორებს. როგორც მასწავლებლებმა დაადასტურეს, ისინი ინფორმირებულნი არიან მათი შეფასების თაობაზე და თუ რაიმე ინტერვენციაა საჭირო, შესაბამისად იგეგმება. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტისა და სასწავლო პროცესის მართვის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, ასევე აფასებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან თვითშეფასების ანგარიშებზე დაყრდნობით. ამ შეფასებებიდან მიღებული რეკომენდაციები წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და გაზიარდება დეკანთან შემდგომი ქმედებებისთვის.

არსებული რეგულაციების თანახმად, რომელიც ეხება პროგრამის განვითარებასა და მონიტორინგს, პროგრამის ეფექტურობა კონტროლდება და, საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირდება მიმდინარე შეფასებებისა და ბენჩმარკების საფუძველზე. უნივერსიტეტმა ასევე შეადარა თავისი საჯარო მმართველობის პროგრამები (როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო) სხვა ქართულ და საერთაშორისო ინსტიტუტების, მათ შორის ესპანეთის, ლიტვის, პოლონეთის და აშშ-ის უნივერსიტეტების პროგრამებს. ამ შედარებამ გამოავლინა მსგავსებები შინაარსსა და სწავლის შედეგებში, რაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტთა პოტენციურ მობილობას ამ პროგრამებს შორის. თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების დროს დაადასტურდა, რომ მათ აღმოაჩინეს გარკვეული მსგავსება და რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა ანალოგურ პროგრამებში.

გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, შეაფასეს თუ არა მაგისტრატურის კურსდამთავრებულებმა თავიანთი ხელმძღვანელები, ისინი ვერ იხსენებდნენ ასეთ გამოცდილებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, გასაუბრებაზე მყოფმა სტუდენტებმა არ მიიღეს მონაწილეობა შეფასებაში, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის ინსტრუმენტი და 2023 წლის კურსდამთავრებულებისგან შეგროვებული და განალიზებული მონაცემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საჯარო მმართველობის კლასტერის თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 განკარგულება);
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 2 - საჯარო მმართველობა, საფეხური 7

რეკომენდაციები:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, დონე 6	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, დონე 7	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საჯარო მმართველობა, საფეხური 6)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (საჯარო მმართველობა, საფეხური 7)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

- საჯარო მმართველობა, საბაკალავრო საფეხური 6, 240 კრედიტი
- საჯარო მმართველობა, სამაგისტრო საფეხური 7, 120 კრედიტი

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1: საჯარო მმართველობა, საფეხური 6	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2: საჯარო მმართველობა, საფეხური 7	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ბუსმაჩიუ ევგენია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ხოსიტაშვილი გიგა
ზაქარაძე ეკატერინა
ბერიშვილი თამარ
თვაური გიგა